ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 206
შაბათი, 25 სექტემბერი, 1899 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

1877—1899

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 206
შაბათი, 25 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲝᲜᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲝᲕᲜᲘ, ᲔᲤᲔᲛᲘᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲝᲕᲜᲘ, ᲐᲜᲜᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲭᲔᲓᲚᲝᲕᲜᲘ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი შვილისას, მეორენი ძმისას, მესამენი ცოლის ძმისას

ᲐᲑᲠᲐᲐᲛ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐᲡ.

განსვენებულის გვამს სადგომიდგან (ჩუღურეთი, ლაშქარიშვილის სახლი) წაასვენებენ კალოუბნის ეკლესიაში კვირას, 26 სექტემბერს. პანაშვიდი ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზედ.

(2—155—2)

უკანასკნელი წარმოდგენა.
კვირას, 26 სექტემბერს,
ქართულის სცენის მოყვარეებისაგან
წარმოდგენილი იქმნება
თ. აკ. წერეთლის პიესა, რომელიც ხელახლა შესწორებული და დასტამბულია
I
ᲙᲘᲜᲢᲝ
კომ. 3 მოქმედებად
II
ᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠᲘᲡᲐᲡ
ხუმრობა ერთ მოქმედ. თ. რ. ერისთავისა
III
დივერტისმენტი და ᲚᲔᲙᲣᲠᲘ
ადგილების ფასი 20 კ. ვიდრე 1 მ. 50 კ., დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. გათავდება 11 საათზედ.
გამგე შ. საფაროვი.
(2—უ—1.)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ქ. მ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪᲘ—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ი. ფ. ᲞᲠᲝᲢᲐᲡᲔᲕᲘᲩᲘ. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.
ა. პ. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. ᲒᲣᲠᲙᲝ. $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
ი. ფ. ᲞᲠᲝᲢᲐᲡᲔᲕᲘᲩᲘ. 5—6 საათ.
ა. ნ. ᲨᲞᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.
ბ. ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7—$7^{1}/_{2}$ საათ.
ტ. ი. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
ო. ტ. ᲐᲠᲕᲐᲜᲘᲢᲐᲙᲘ—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა
ᲓᲘᲚᲘᲗ:
ვ. ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.
ბ. გ. ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი—9—10 საათ.
დ. ქ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.
ნ. ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^{1}/_{2}$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).
ა. ნ. ᲨᲐᲢᲘᲚᲝᲕᲘ—თვალისა 12—1 საათ.
ᲘᲐᲒ. ქ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.
ნ. ზ. ᲣᲛᲘᲙᲝᲕᲘ.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.
ი. დ. ᲑᲔᲒᲗᲐᲑᲔᲒᲝᲕᲘ—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.
მ. ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.
ქ. ი. ᲑᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).
ვ. მ. ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:
დ. ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.
ი. ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
ს. ი. ᲕᲐᲬᲐᲫᲔ.—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარმართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელე ბ-ნი პოგენპოლი ამ ჟამად ქუთაისში თურმე იმყოფება მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის საქმეთა გასაცნობად.

⁂ ქალაქის გამგეობამ განიხილა ნაძალადევის ადგილების მოიჯარადრეთაგან საიჯარო ფასის გარდახდის საქმე. ქალაქის იმ ხელ-შეკრულობის ძალით, რომელიც მას ნაძალადევის მცხოვრებლებთან აქვს დადებული, ქალაქს უფლება ეძლევა გაჰყიდოს იმ მოიჯარადრეთა სახლები, რომელნიც საიჯარო ფულს სავსებით არ გარდაიხდიან. ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ ნაძალადევის მცხოვრებთ უწყებები დაუგზავნა და საიჯარო ფული მოსთხოვა. თუ ეს ფული არ იქმნა შეტანილი, მაშინ, გამგეობის დადგენილებით, თუმცა ნაძალადევის მცხოვრებთა სიღარიბის გამო არ გაჰყიდის ქალაქის ადგილზედ აშენებულ სახლებს, მაგრამ საჩივარს აღძრავს საიჯარო ფულის ამოსაგებად.

⁂ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ყარსის რკინის გზის გამყვანმა ინჟინერმა ვურცელმა უარი განაცხადა განაგრძოს როგორც ყარსის, ისე ერევნის რკინის გზის გაყვანის საქმეთა მართვა-გამგეობაო. ამას გარდა, მომავალ ოქტომბერში ყარსის რკინის გზის მართვა-გამგეობა გარდაეცემა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს; ამასთან თუ ამ დრომდე გზის მუშაობა მთლად არ იქმნა დამთავრებული, ამ მუშაობის განგრძობაც იმავე სამმართველოს მიენდობა.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ცნობილი სწავლული და მოგზაური ბარონ დე ბაი.

⁂ ამ ჟამად ტფილისში რამდენიმე ინგლისელი მწარმოებელია, რომელნიც კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე შუამდგომლობენ იმის შესახებ, რომ ნება დაერთოთ დაღესტნის ოლქში ნავთის კვლევა ძიებას შეუდგნენ, და თუ აღმოჩნდა, ნავთის წარმოებაც დაიწყონ.

⁂ როგორც ვუწყით, მთავრობამ გადასდო ფული კავკასიის საეტნოგრაფიო და შინა-მრეწველობის ნაწილის გასამართავად პარიჟის მომავალ მსოფლიო გამოფენაზედ. როგორც გაზეთები იუწყებიან, წინად გადადებულის ფულის გარდა ამ საქმისათვის მთავრობას კიდევ გადაუდვია 2,000 მანეთი.

⁂ ორშაბათს, 27 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭო განიხილავს, სხვათა შორის, შემდეგს საქმეებს: ცხენის რკინის გზის ზედამხედველობის წესების პროექტს, დაფასების უწყებათა შემოწმების წესების პროექტს, ტყე-ბაღების კომისიის მოქმედების წეს-რიგის პროექტს, ბეითალთა მოქმედების წეს-რიგს, ქალაქის საყასბოს და საქონლის ბაკის შენახვის წესებს, ახალ-ყორღანოვის ქუჩის სახლის პატრონთა თხოვნას ამ ქუჩის მოკირწყვლის შესახებ, გამგეობის 1894 და 1899 წ. ანგარიშს და სხ.

⁂ ამ მოკლე ხანში, როგორც ისმის, ტფილისის საგუბერნიო გამგეობა განიხილავს კერძო მეპატრონეთა შორის საადგილ-მამულო გარდასახადის განაწილების საქმეს.

⁂ როგორც ისმის, კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით წინადადება მიეცა ყველა იმას, ვინც ნებართვა მიიღო დაესახლოს ახლად დაარსებულ სოფ. ორხევში (ტფილ. მაზ.), რომ თუ ისინი ერთის წლის განმავლობაში გამოცხადების დღიდგან საბოლოოდ და მკვიდრად არ დასახლდებიან დათმობილ ადგილებზედ და პირდაპირ მიწის მუშაობას არ შეუდგებიან, ეს ადგილები ჩამოერთმევათ.

⁂ ამ თვის დამდეგს ტფილისის გუბერნატორმა, განიხილა რა ქ. დუშეთის 1898 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა, წინადადება მისცა დუშეთის ქალაქის მამასახლისს ცნობები მომაწოდეთ იმის შესახებ, თუ რა საშუალებით დაიფარა 2,498 მ. და 82 კ., რომლითაც ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით გასავალი შემოსავალს აღემატებაო.

ამ წინადადების გამო დუშეთის ქალაქის მამასახლისმა მოახსენა გუბერნატორს: 1898 წ. ქალაქის შემოსავალი უდრიდა არა 2,678 მ. და 77 კ., როგორც ეს ხარჯთ-აღრიცხვის უწყებაშია ნაჩვენები, არამედ 3,106 მ. და 91 კაპ., და იმავე წელს ქალაქისა და საზოგადო საჭიროებისათვის დახარჯულია არა 5,177 მ. 59 კ, არამედ 5,087 მ. და 55 კ., დახარჯულია 1,980 მ. და 64 კაპეიკით მეტი, რომელიც შევსებულია 1898 წ. 1-ლ იანვრამდე ქალაქის ხელთ-მყოფ ნაღდ ფულ 2,113 მ. და 68 კაპეიკიდგანაო.

⁂ მიწად მოქმედების დეპარტამენტი ამ ჟამად, „პეტ. ვედ.“-ის სიტყვით, მუშაობას ამთავრებს ყარსისა და ბათუმის ოლქთა ადგილ-მამულის მოწყობისას.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის წევრს ბ-ნ სპეშნევს საზღვარ გარეთ ჰგზავნიან ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათა შესასწავლად.

⁂ როგორც „ტფილ. ფურც.“-ი იუწყება, ხვედურეთის სასოფლო საზოგადოების გლეხებს მიუბაძავთ ხიდისთავის გლეხების მაგალითისათვის და დაუდგენიათ შეუდგნენ იმ ქაობების ამოშრობას, რომელიც ამ საზოგადოების ადგილებში მოიპოვება, მაგრამ, საუბედუროდ, გლეხებს არც იმდენი შესწევთ, რამდენიც ამ ქაობების ამოშრობას უნდა, და არც მცოდნე კაცი მოეპოვებათ, რომელსაც შეეძლოს ხელმძღვანელობა გაუწიოს ამოშრობის დროს. ამიტომ სასურველიაო, ამბობს გაზეთი, დახმარება აღმოუჩინონ ამ საქმეში გლეხებს როგორც ადგილობრივმა მემამულეებმა, აგრეთვე წყალთა გამგეობამაო.

⁂ ს. ჯუხაძხარი, (თიანეთის მაზრა). აქ ერთი მოულოდნელი უბედურება მოხდა. ამ ენკენისთვის სამში ჩამოვარდა მეხი, დაეცა ამ სოფლის მცხოვრების გიორგი ფოცხვერას ძე თურქიაშვილის საბძელს და გომურს; გადაიწვა სრულიად ეს შენობები და შიგვე ამოიწვა ცხრა ცხვარი, ერთი ცხენი, თორმეტ კოდამდე პური, შინაური ფრინველები და რაც რამ პატრონს შიგ სარჩო საბადებელი ებადა. ზარალი უდრის ოცდა თორმეტ თუმანს.

⁂ რადგან ყოველ წლობით ღვთის მშობლის მაძინების დღეს მცხეთაში აუარებელი მლოცველები იკრიბებიან და ხშირად უწესოებას ახდენენ, ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ წელს დუშეთის მაზრის უფროსთან გაგზავნილ იქმნას 15 ყაზახი, რომელნიც უნდა გამოცხადდნენ მცხეთაში 30 სექტემბერს დილით.

⁂ ავჭალის მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენის გამგეს ბ-ნ ჭყონიას ტფილისის სამკურნალო გამგეობაში საჩივარი შეუტანია ზემო ავჭალელ პურის მცხობლებზედ. ბ-ნი ჭყონია უჩივის პურის მცხობთ, რომ კარგ პურს არ აცხობენო; ამასთან ჭყონიას წარმოუდგენია იქ გამოცხობილის პურის ნიმუშიც, რომელიც მართლა უვარგისი გამოდგა. სამკურნალო გამგეობას ამის გამო უთხოვნია საპაზრო ადმინისტრაციისთვის ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და თვალ-ყური ადევნონ სურსათის ვაჭრებს, ხოლო პურის მცხობნი სამართალში მისცენ.

⁂ ნავთლუღის სადგურის უფროსის მოადგილე გვრინსკი, რომელმაც

ამ დღეებში ხაზინის ფული წაიღო და სადღაც დაიკარგა, უკვე შეიპყრეს და გარდასცეს რკინის გზის ჟანდარმთა პოლიციას.

⁂ გორის მაზრის უფროსმა წინადადება მისცა პოლიციას ყველა ბოქაულს გორის მაზრაში: სასტიკი ზედამხედველობა იქონიეთ იმ ნაწარმოებზედ, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ჰყიდიან რკინის გზის სადგურებზედ, აკრძალეთ უვარგის ნაწარმოებთა გაყიდვა და საჩივარი აღძრეთ იმათზედ, ვინც სასანიტარო წესებს დაარღვევსო.

⁂ 22 სექტემბრის ღამეს უცნობმა ბოროტ-განმზრახველებმა თხინვალის ქუჩაზედ წურინოვის სახლებში მყოფ იაკობ კოპანაკოვის საწვრილმანო დუქნიდგან მოიპარეს 30 გირვანქამდე ჩაი, 40 მან. ღირებული. ქურდები დუქანში ისე შესულიყვნენ, რომ ორი კლიტე გაეტეხათ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 22 სექტემბერს ყარსის რკინის გზის საავადმყოფოში გარდაიცვალა მატარებლის დამტვრევის დროს დაშავებული მუშა, გორის მაზრის მცხოვრები გიორგი დვალაძე.

⁂ ამ ბოლოს დროს ტფილისში თავი იჩინა სახადმა. აგვისტოში სახადით ექვსი კაცი გახდა ავად, სექტემბერში-კი 20 კაცზედ მეტი.

⁂ ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა წინადადება მისცა საბჭოს ყველა მკურნალთ, რომ ყოველ კვირაში ერთხელ საგანგებოდ დაათვალიერონ ხოლმე სავაჭრო დაწესებულებანი.

⁂ 23 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, მალაკანთა მეორე ქუჩაზედ, დეგტიაროვის სახლთან იპოვეს მიგდებული ბავშვი მამაკასქესისა, ასე 5 დღის დაბადებული. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში წაიყვანეს.

⁂ 20 სექტემბერს, საღამოს 6 საათზედ, თხინვალის ქუჩაზედ, წურინოვის სახლში თელავის მაზრის მცხოვრებელმა გაუთხოვარმა ქალმა ეკატერინე უსეინაშვილმა თავის მოკვლა განიზრახა და ამ აზრით კარბოლის სიმჟავე დალია. მოწამლული წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, სადაც იგი გადარჩენილ იქმნა სიკვდილს. გამოძიება სწარმოებს.

მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის მიბრძანება ალბულაღს.

(წერილი ალბულაღიდგან)

19 ამა სექტემბერს მისი ბრწყინვალება კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი გ. ს. გოლიცინი წაბრძანდა ტფილისიდგან ალბულაღს. ნაშუადღევის 2 საათზედ მისი ბრწყინვალება მივიდა სადგურ ტაბახმელაში, სადაც მიეგებნენ ხატის-თელეთისა, კუმისისა და წავკისის საზოგადოებანი პურ-მარილით. თავადი გამოელაპარაკა მოხუცებს, მიესალმა ქართულად ამ სიტყვებით: „გამარჯობა ჩემი ქართველი!“, გამოჰკითხა, გახსოვართ თუ არაო. ასევე დახვდნენ მთავარ-მართებელს ბორბალოს სადგურზედ. ნემეცთა ახალშენს ელიზავეტალში ნემეცებმა მისს ბრწყინვალებას სადღესასწაულო კარი გაუკეთეს და სამხედრო მუსიკითა და გალობით დახვდნენ. სალარაშენის სადგურზედ თავადს მიეგებნენ ენაგეთისა, დურნუკისა და წინწყაროს საზოგადოებანი პურ-მარილით, ხოლო ორთა-შუაში, ალბულაღს ახლოს, — დაგეთხაჩინის საზოგადოება პურ-მარილითვე. მისი ბრწყინვალება ყველას ალერსიანად ესაუბრებოდა და ჰკითხავდა, როგორა ხართ, როგორ ცხოვრობთო.

საღამოს 6 საათზედ მთავარ-მართებელი მივიდა ალბულაღს, სადაც დახვდნენ ალბულაღისა და კონსტანტინოვსკის საზოგადოებანი და გრუზინსკის რაზმი. მისი ბრწყინვალება წავიდა ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნა პარაკლისი. შემდეგ კლუბის ეზოში მთავარ-მართებელს მიეგება საპატიო დარაჯი და ჯარის აფიცრები, რომელთაც მადლობა გარდაუხადა არსებულ წესრიგიანობისათვის. კლუბში მისს ბრწყინვალებას მიეგებნენ „გრუზინსკი პოლკის“ ყველა აფიცრები. აქ თავადმა გამოუცხადა: „ბატონებო! გთხოვთ მიიღოთ ჩემგან აფიცერთა საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად 55,000 მან., რომელსაც ამ აზრით ვაგროვებდი მთელის ჩემის სიცოცხლის განმავლობაში. თავენი თანხასა ხელ-შეუხებლად დარჩეს და სარგებელი-კი თქვენს ხელში იყოს, მოილაპარაკეთ, როგორ და რაზედ გინდათ მოიხმაროთ. იმედი მაქვს, ბატონებო, რომ ამ ფულის მიღების უარს არ იტყვით“. ამასთანავე თავ. გ. ს. გოლიცინმა რაზმის უფროსს გადასცა ჩეკი 55 ათასის მანეთისა. გაისმა ხანგრძლივი „ურა“-ს ძახილი და ამ ძახილით მიაცილეს მისი ბრწყინვალება რაზმის უფროსის სახლამდე, სადაც მან ღამე გაათია.

მეორე დღეს, 20 სექტემბერს, დილის 5 საათზედ, მისმა ბრწყინვალებამ მთელი ალბულაღი მოიარა, ერთის ძველის სახლის შესაკეთებლად, რომელიც „გრუზინსკი პოლკის“ თანხიდგან უნდა შეკეთებულიყო, 5,000 მან. შესწირა და 100 მან. ღარიბ ჯარის-კაცებს. ალექსანდრეს მოედანზედ გამართული იყო 1,500 გლეხისათვის გულ-უხვი სადილი მისის ბრწყინვალების ხარჯით და აქავე [illegible] დათ.

ნაშუადღევის 3 საათზედ თავ. გ. ს. გოლიცინი წაბრძანდა ტფილისს და გზად მადლობა გარდაუხადა ბოქაულს ე. გუგუშვილს ყველგან მის საბოქაულოში წეს-რიგის კარგად დაცვისათვის.

ა.

წერილი კახეთიდგან.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ თელავის მაზრის სოფელ გულგულის საზოგადოებამ განიზრახა სასოფლო მარნის გაკეთება, რისთვისაც ითხოვა სამიწად-მოქმედო სამინისტროსაგან 10,000 მან. სესხად. სამინისტროს ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია გულგულის საზოგადოების განზრახვისათვის და დაუვალებია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის შემოწმება, რამდენად მოსახერხებელი და სასარგებლო იქმნება ხსენებულ სასოფლო მარნის გახსნა.

15 სექტემბერს გულგულაში მოვიდა აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი; ამასთან ერთად დაესწრნენ ექსპერტი ი. ალ. სტაროსელსკი, ინსტრუქტორი საფილოქსერო დასისა ვ. ი, პეროვი და თვით ამ საქმის მოთავე ი. თ. კოლელიშვილი.

თავ. ანდრონიკაშვილმა გამოჰკითხა შეკრებილ გლეხთ, რა ჰსურთ, რამდენი დესიატინა ვენახი აქვს მთელ სოფელსა, რამდენი ღვინო მოდის დესიატინაზედ, როგორ ჰყიდიან, ვინ ჰყიდულობს, რა საშუალებით აპირებენ თავისის სურვილის განხორციელებას, რა მიზეზებმა გამოიწვია სასოფლო მარნის დაარსების სურვილი, როგორ ჰფიქრობენ სამარნო საქმის გაძღოლასა; როგორ ფასობს ხე-ტყე, კირი, აგური, ქვა, ქვიშა, რომელი სახელმწიფო ტყე უფრო ღეზად არის სოფელზედ და სხვ. ყოველივე ამის პასუხის მიღების შემდეგ, აუხსნა გლეხებს, რომ საქმისათვის საჭირო არის წესდების პროექტი, შენობის გეგმა და მისი სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაო. რადგანაც ეს დამზადებული არა აქვს საზოგადოებას, უნდა ამოირჩიოს თვისს შორის შეგნებულნი კაცები, რომელთაც დაევალოს წესდების შემუშავება, შენობის გეგმის და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის დამზადებაო. ყველა ეს სოფლის საზოგადოებისაგან გასინჯული და მოწონებული გაეგზავნება თავ. ანდრონიკაშვილს, რომელიც ხელ-ახლად შემოწმებს და თვისის დასკვნით წარადგენს ჯეროვან ადგილს. თავ. ანდრონიკაშვილმა ის აზრი გამოსთქვა, რომ სამინისტრო ასესხებს სოფელს ფულს, თუკი დაინახავს, რომ იგი სასარგებლოდ იქმნება მოხმარებულიო.

ს. გულგულაშივე თ-დი ანდრონიკაშვილის განკარგულებით გაგზავნილი იყო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თელავის საწყობიდგან სამი გუთანი ვენისა—№№ 1, 2 და 3. გლეხებთან საუბრის შემდეგ, ყველანი გავიდნენ მინდორში, სადაც არჩეული იყო ძნელი სახნავი ყამირი. შეაბეს ოთხი ულელი დიდს გუთანში, ე. ი, № 3, დაიწყეს ხვნა. გლეხები, მინამ ხვნა დაიწყებოდა, იმ აზრისა იყვნენ, რომ იმ მიწას ეს გუთანი ვერ მოხნავდა, როგორც ყამირსა და დიდი ხნის უწვიმობით გამოგოლვილს, მაგრამ თვისი თვალით დაინახეს, ოთხ ულელა საქონელი როგორ ადვილად ატარებდა გუთანს, რომელიც 6—7 ვერშოკის სიღრმით და ამოტელავე სიგანის კვალს ავლებდა.

აგრეთვე გამოსცადეს შუათანა სიდიდის (№ 2) გუთანი, რომელშიაც თვით გლეხებმა შეაბეს ყევარი და გადიტანეს სხვა უფრო ადვილად სახნველს ადგილს. ისინი მცოდნე-

ფელეტონი

ბიძია თომას ქოხი

ბიჩერ-სტოუსი

I

ერთს ცივს თებერვლის დღეს კენტუკკის ქალაქ პ—ს მდიდრულად მორთულ ოთახში მაგიდის გარშემო იჯდა ორი კაცი და რაღაზედაც გაცხარებით ბაასობდნენ.

ერთი ამათგანი ჰგავდა გამდიდრებულს მეტიჩარას; ის იყო დაბალის ტანისა, უეშხო და უსიამოვნო სახის კაცი. ეტყობოდა ესტეტიკურს გრძნობას მოკლებული იყო, რადგან მეტად ჭრელად და უგემოვნებოდ შემოსილიყო, ჟილეტი და ყელსახვევი არ უდგებოდა ერთმანეთს; ტლანქს ოქროს ძეწკვზედ აბმული ჰქონდა აუარებელი შანა, რომელთაც დრო და დრო ათამაშებდა. ყოველსავე ამას ძვირფასი ბეჭდები ამშვენებდა და ამთავრებდა.

მეორე-კი, ნამდვილად კეთილშობილ და დარბაისელ სახის მქონე, გახლდათ მასპინძელი, ბატონი შელბი.

— მაშ მაგით ვათავებთ საქმეს? ჩაეკითხა შელბი თავისს მობაასეს, — თომა მეტის-მეტად სინიდისიერი და ნიჭიერი კაცია და მაგ ფასად ყოველთვისა ჰღირს!

— სინიდისიერია იმდენად, რამდენადაც შესაძლოა იყოს ნეგრი, — გააწყვეტინა გალლიმ და თან ერთი ჭიქა ღვინო გადაჰკრა.

— რაც უნდა იყოს ქრისტიანია და ქრისტიანული სულიც უდგია, — განაგრძო შელბიმ: მე მაგას სახლთუხუცესობა ჩავაბარე და ყოველთვის ნასიამოვნები და კმაყოფილი ვიყავ, რადგან მინდობილ საქმეს მუდამ კეთილ-სინიდისიერად ასრულებდა. წარმოიდგინეთ თქვენ, ერთხელ ცინცინატში გავგზავნე დიდძალის ფულით. აქეთ იქიდგან აგულიანებდნენ თურმე გაქცეულიყო, მაგრამ ეს არ ინდომა, თუმცა-კი, რომ მოენდომებინა, რასაკვირველია, შეეძლო. სინიდისის ქვეშ რომ ვთქვათ, ჩემო გალლი, ეგ კაცი სრულიად საკმარისია ჩემის ვალის გასასტუმრებლად.

— მე იმდენი სინიდისი მაქვს, რამდენიც უნდა ჰქონდეს ვაჭარს. დიდის სიამოვნებით დაგიკლებდით, მაგრამ რას იზამ, მეტად ცუდი დრო დადგა, — უპასუხა ვაჭარმა, ამასთანავე მძიმედ ამოიხვნეშა, წასწვდა იქვე მდგარ ბოთლს და ერთი ჭიქა ღვინო დაისხა.

— მაშ მითხარით, რა გნებავთ? ჩაეკითხა მასპინძელი წუთის სიჩუმის შემდეგ.

— არ მომცემთ თომასთან კიდევ ერთს გოგოს ან ბიჭს? — ჰკითხა გალლიმ.

— მაგის მეტი სხვა აღარავინა მყავს ისეთი, რომ თქვენ დაგითმოთ. დარწმუნებული იყავით, რომ მაგის დათმობასაც მხოლოდ გაჭირვებული მდგომარეობა მაიძულებს.

ამ დროს ოთახში შემოირბინა ასე ოთხი-ხუთის წლის ყმაწვილმა ბავშვმა, რომელსაც სასიამოვნოდ დაჰყროდა გიშერა ხუჭუჭი თმა, ტანზედ გამოწყობილი ახალი ტანისამოსი მშვენივრად უხდებოდა, ქცევაც მალხაზი და ცქვიტის ბავშვისა ჰქონდა, ეტყობოდა, პატრონი ძალიან ანებივრებდა.

შელბი ბავშვის დანახვაზედ ცოტა არ იყოს შეკრთა, ტუჩების კვნეტას მოჰყვა, მაგრამ მალე მოვიდა გონს და ბავშვს ისე გამოელაპარაკა, ვითომც აქ არაფერი ამბავიაო:

— აქ მო, გარრი! აბა ერთი გაშალე ხელები და დატრიალდი, გვაჩვენე შენი თამაშობა და შენი სიმღერებიც გაგვაგონე.

ბავშვმა ხელოვნურად შეასრულა ერთიც და მეორეც.

— აბა ახლა გააჯავრე პაპა კუჯოს სიარულში, როცა მუხლებში ქარები აეშლება ხოლმე.

ბავშვმა აიღო ხელში ჯოხი, მოიბღუნძა და კოჭლობით გაიარ-გამოიარა ოთახში, ისეთის სინამდვილით, რომ სიცილი აუტეხა ორივე მაყურებელს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! შეაქო ვაჭარმა, რომელსაც სიამოვნებით ნერწყვი მოსდიოდა პირში და წამის-წამს მსუნაგად ილოკდა ტუჩს, აიღო ერთი ფორთოხალი და მიაწოდა წაქეზებულს ბავშვს.

— აი, მომეცით ეს ბიჭიც და ჩვენს საქმეს ბოლო მოეღება, — მიიღრიცა გალლიმ კისერი შელბისაკენ.

ამ დროს კარებმა ჭრიალი მოიღო. სახლში შემოვიდა ასე ოც-და-ხუთის წლის ახალგაზდა, ლამაზი ქალი, ეს იყო დედა გარრისა—ლიზა. სუფთად და ფაქიზად ეცვა და ეს სიფაქიზე უფრო მეტად ამშვენებდა.

— რა გინდა, ლიზა? — შეეკითხა შელბი.

— არაფერი, ბავშვის წასაყვანად მოვედი, — უპასუხა მან.

— წაიყვანე.

ლიზამ სწრაფად მოავლო ხელი ბავშვს და კარებს მოეფარა.

— აბა, საქონელი ესა ყოფილა აი! შესძახა თვალებ-გაბრწყინვებულმა ვაჭარმა, როცა ლიზა გავიდა, — თქვენ შეგიძლიანთ მთელი საცხოვრებელი შეიძინოთ მაგ ქალის გაყიდვით. ორლეანში, იმედი მაქვს, ათასს დოლლარზედ მეტი მოგცენ.

— მე, ბატონო გალლი, როდი ვეჩქარები ყმების გაყიდვით საცხოვრებლის შეძენას, წყენით მიუგო მასპინძელმა. ესეც არ იყოს, ეგ მოსამსახურე გაგიჟებით უყვარს ჩემს ცოლს, რომელიც სიკვდილს არჩევს მაგის მოშორებას. ასე რომ, ჩემის აზრით, მაგაზედ ლაპარაკი არც-კი ჰღირს.

— მაშ ეგ ბავშვი მაინც მომეცით!

— მერე, რომ მოგცეთ, რას უზამთ?

— ერთი ამხანაგი ვაჭარი მყავს, რომელიც ბავშვებითა ვაჭრობს, ის გამიყიდის კაი ფასად. მდიდრებს საზოგადოდ ლამაზი მოსამსახურეები უყვართ და ლამაზ ყმაწვილებს სუნით დაეძებენ. მერე რა ფასს იძლევიან-და!..

— არ მინდოდა დედისთვის შვილი მომეშორებინა, თითქოს თავისთვის წაილაპარაკა შელბიმ.

— არა, თანახმა ვარ: მეც მეჯავრება დედის წივილ-კივილი; ამას გარდა, ამით საქონელი ფუჭდება. ბევრი მაგალითი ვიცი, რომ დედა ბავშვის მოშორების შემდეგ დადარდიანებულა, ჩამომხმარა, ჩამომჭკნარა და ხან-და-ხან დარდს თანაც გადაჰყოლია! ყოველთვის სასარგებლოა კაცთმოყვარეობით მოექცეს მაგათ ადამიანი. ჩემის აზრით, გავაშოროთ დედა თავისს შვილს ერთი ორიოდე კვირით. ამ ხანად მე უკვე წაყვანილი მეყოლება ბავშვი, დედას-კი მერე საყურეებით და კარგის საკაბით დავუამოთ გული.

— არა მგონია საქმეს ეგრე მოევლებოდეს, — უპასუხა შელბიმ.

— აი, დაინახავთ, თუ არ მოევლება, თქვენც დამეთანხმებით, რომ ნეგრები თეთრკანიანებზედ უფრო გამძლე და ჯაფის ამტანნი არიან. ისინი, ჩემის აზრით, მზად უნდა იყვნენ ცხოვრებაში ყოველისფრის ასატანად, მაშასადამე, უსიტყვოდ უნდა დასთანხმდნენ ერთის ბატონის ხელიდან მეორესთან გადასვლას, ან-და ერთმანეთთან განშორებას. თქვენ კი, ჩემო ბატონო, მოჰყოლიხართ და ისე გაგინებივრებიათ ეგ პირუტყვები, რომ ადგილის გამოცვლასაც-კი ჰნაზობენ და არა სთანხმდებიან.

შელბიმ დამცინავის ღიმილით შეჰხედა სტუმარს ამ დარიგების გამო და მხრები-და აიჩმუჩნა.

— უკანასკნელი პასუხი? ჩააცივდა ვაჭარი მცირეოდენ სიჩუმის შემდეგ.

— შემოიარეთ საღამოს შვიდ საათზედ, მოველაპარაკები ჩემს ცოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა დაუხმარებლად ხნავდნენ. ახლა შეაბეს ყვავარი სულ პატარა (№ 1) გუთანში და მითი ხნეს. რადგან ხვნის დროს გლეხებმა შენიშნეს, რომ გუთანი ვიწრო კვალს ავლებს, ისევ დიდს (№ 3) გუთანში შეაბეს ოთხი უღელი და დააყენეს ისე, რომ განიერი კვალი გაეტანა. ასე გამართულმა გუთანმა წინანდელ სიღრმესთან კვალი 8 ვერშოკზედ მეტი გაიტანა და ეს მოეწონათ.

დამსწრე გლეხთ ერთხმად იპატარავეს გუთნის ფრთა, რადგან გადატანილ ბელტოდგან ცოტა მიწა ცვივა კვალში; სხვაფრივ გუთნები მოიწონეს და ყველაზედ მეტად სულ დიდი გუთანი (№ 3).

ბ-ნთ სტაროსელსკისა და პეროვის ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით მოხდება გუთნების გამოცდა თითქმის ყველა სოფელში ალაზნის გაღმა.

ბ-ნი პეროვი ამ ახლო ხანში აპირებს აკურიდამ დაწყებული ვიდრე მატნამდის ყველა სოფლის საზოგადოებასთან მოლაპარაკებას ხელოვნურად ტბებისა და საგუბრების გაკეთების შესახებ. ტეხნიკური მხარე ამ საგნისა თვით ბ-ნ პეროვს კარგად სცოდნია და მზად არის თვისი ცოდნა მოახმაროს იმ სოფლის საზოგადოებას, რომელიც მოინდომებს ხელოვნურის ტბის, ან საგუბრის გაკეთებას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზემორე აღნიშნულ სოფლების მამული სრულიად მოკლებულია სარწყავს წყალს და მარტო წვიმის ანაბარად არის დარჩენილი; რომ დროზედ წვიმის მოუსვლელობით უეჭველად ხუთ სოფელში ოთხი ჰზარალდება; რომ ამავე მიზეზის გამო აგერ ცხრა წელიწადია, ამ ადგილებში სულადის მოუსავლობამ მაგრად მოიკიდა ფეხი, ცხადად წარმოგვიდგება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბ-ნის პეროვის განზრახვის თუნდა ერთ-ორ ადგილზედ განხორციელებას.

ახლა საჭიროა მხოლოდ ბ-ნ პეროვს დაეხმაროს სოფელში მყოფი ინტელიგენცია, რომ სოფელი დასთანხმდეს ამ საქმისთვის მუშა გაიყვანოს ზამთარში, როცა უფრო მოცლილია ხალხი, და თავად-აზნაურობა დასთანხმდეს უსასყიდლოდ დაუთმოს სოფელს ის უვარგისი ადგილები, სადაც გაკეთდება საგუბარი ან ტბა, რადგანაც იქ შენახული წყლით მოირწყვის და განაყოფიერდება ის მინდვრები, რომლებიდამაც თავად-აზნაურობა ღალას იღებს და მასთან მისი საკუთარი მამულიც მოირწყვება. დარწმუნებულნი ვართ, — ჩვენი მემამულენი ადვილად მიჰხვდებიან თვის სარგებლობას, ბ-ნ პეროვსაც ხელს შეუწყობენ და გლეხთაც ჯეროვან წინამძღოლობას გაუწევენ.

ნადიკვრელი

რუსეთი

როგორც ვუწყით, 1900 წლის იანვარს ფარმაცევტთა კრება უნდა მოხდეს. კრებას აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას ეგრედ წოდებული სააფთიაქო შეგირდობა და ამის ნაცვლად დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული საფარმაცევტო სკოლა სამის განყოფილებით. პირველი განყოფილება მოამზადებს სააფთექო ფერშლებს, მეორე პროვიზორის თანაშემწეს, ხოლო მესამე—პროვიზორებს.

— გზათა სამინისტროს აზრადა აქვს, რკინის გზებზედ სასკოლო საქმის უკეთ მოსაწყობად, მოიწვიოს რკინის გზების წარმომადგენელნი და სამისწავლო მთავრობასთან ერთად მოლაპარაკება გამართოს ამ სკოლების დაარსებისა და მოწყობის შესახებ.

— როგორც „С. От.“-ა იუწყება, 1902 წელს პეტერბურგში მოხდება გინეკოლოგთა საერთა შორისო კრება. კრება ერთს თვეს გასტანს. ეს კრება მეოთხე იქმნება.

— წელს პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტში მიღებულ იქმნა სულ 260 ქალი. წელსავე ამ ინსტიტუტს მესამე კურსიც მიემატა, რომელზედაც მეორე კურსისაგან გადავიდა სულ 130 ქალი. სწავლა ინსტიტუტში 15 სექტემბერს დაიწყო.

უცხოეთი

ინგლისი. ზოგიერთს გაზეთებში დახასიათებულია ინგლისის აფიცრები. ამბობენ, მაგალითად, რომ თუმცა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს ინგლისის აფიცრებმა 1881 წელს ტრანსვაალთან ბრძოლის დროსა, მაგრამ უმთავრესად მაინც იმათი ბრალი იყო ინგლისის დამარცხება ამ ომში. მძლიერ დიდის გულადობის გამო, ინგლისის აფიცრები ცოტათი ანუ სრულებით არ უფრთხილდებიან თურმე თავიანთ თავს, და ამიტომ ხშირად და საქმისათვის სრულიად უსარგებლოდ თავიანთ თავს და თავიანთ ხელქვეითებსაც ტყუილ-უბრალოდ ღუპავენ თურმე. ასეთი თვისება ინგლისის აფიცრებისა მძლიერ სახიფათოა მათთვისავე ბოერებთან ბრძოლის დროს, რომელნიც, რაღა თქმა უნდა, კარგად გამოიყენებენ თავიანთ მოწინააღმდეგეთა ამ სუსტს მხარეს. ერთს ინგლისელ აფიცერს უთქვამს გერმანელ აფიცრისათვის, რომ ჩვენ სასირცხვილოდ მიგვაჩნია მხედარი მოიხაროს ანუ მიწაზედ დაწვეს მტერთან ბრძოლის დროს იმ განზრახვით, რომ მტერმა ნიშანში არ ამოიღოს ისო.

ინგლისის აფიცრები აგრეთვე ყურადღებას არ აქცევენ თურმე ნიადაგის სხვა და-სხვაობას. ამასთანავე სამხედრო ტაქტიკა მათ მეტ ზარგად მიაჩნიათ თურმე, და გარდა ამისა წინანდელი ომიანობის გამოცდილება მათ დიდად არაფრად სწამთ. ერთს გერმანელს აფიცერს უკითხავს ინგლისელ მაიორისათვის: რას ჰფიქრობთ ტრანსვაალთან ომის შესახებო, და იმას აი რა უპასუხნია: ეჭვს გარეშეა, რომ ეს ომი ინგლისის სასარგებლოდ დასრულდება, რადგან ჩვენ უფრო მძლიერი ჯარი გვყავს, მაგრამ ეს ომი დიდძალს მსხვერპლს მოითხოვს კაცის სიცოცხლის მხრით, ვინაიდგან არ შეიძლება არ გამოვტყდე, რომ ჩვენმა მხედართმთავრებმა სრულებით არ იციან, როგორ უნდა მოიქცენ ამ გვარს ომში, და ჩვენს აფიცრებს ხომ წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რას ნიშნავს საქმე ჰქონდეთ კარგად შეიარაღებულს მტერთანაო.

ცხენოსანი ჯარი საუკეთესო ჰყოლია ინგლისს, რამდენიმე მხრით თითქმის უკეთესი ევროპის სხვა სახელმწიფოების ცხენოსან ჯარებზედ, მაგრამ არტილერია და ქვეითა ჯარი-კი ვერ უთანასწორდება თურმე თანამედროვე მოთხოვნილებას. აფიცრები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, რა ადგილას უნდა დააბანაკონ არტილერია; ამას კიდევ ის უნდა მიემატოს, რომ ბევრმა აფიცერმა მხოლოდ ინგლისის ომების ისტორია იცის, და სრულებით არა გაეგება-რა, თუ რა წესით და რიგით ომობდნენ სხვები.

ორანჟის რესპუბლიკა. რაც რომ ინგლის-ტრანსვაალის შორის უთანხმოება ასტყდა, — ხშირად იხსენიება ორანჟის სახელი. ეს არის ერთობ პატარა ქვეყანა ტრანსვაალის მეზობლად, სადაც, სტატისტიკურ ცნობებით, სულ 207 ათასი მცხოვრები ითვლება, რომელთაგან 77,000 სული ევროპიელია და 130,000 მველთაგანვე ადგილობრივი მკვიდრი. იარაღის ხელში აღება და ბრძოლაში გასვლა შეუძლიან 20,000 კაცს. ორანჟის რესპუბლიკის მუდმივს ჯარს შეადგენს 80 კაცი, არტილერიის საქმის მცოდნე, რომელნიც მშვიდობიანობის დროს ბლოემფონტეინის ციხეში დგანან. ამ რაზმის სათადარიგო ჯარის-კაცად ითვლება 400 კაცი. რესპუბლიკას აქვს სულ 26 ზარბაზანი სხვა და-სხვა ზომისა.

რესპუბლიკის მცხოვრებნი თითქმის ყველანი სასოფლო მეურნეობას მისდევენ. მშვენიერი საძოვარი ადგილები დიდად უწყობენ ხელს შინაური პირუტყვის მოშენებას და ეს საქმე თითქმის უმთავრეს დარგს შეადგენს იქაურ სოფლის მეურნეობაში. 1890 წელს ორანჟში ითვლებოდა: 250,000 ცხენი, 20,000 ჯორი, 900,000 ძროხა და ხარი, 7 მილიონი ცხვარი, 850,000 თხა, 35,000 ღორი და, 1,461 სირაქლემა.

რესპუბლიკის უმთავრეს ქალაქს შეადგენს ბლოემფონტეინი, რომელშიაც 3,500 მცხოვრები ითვლება. ასეთი ქალაქი ბევრია ორანჟში. სახელმწიფოს უმთავრესი დაწესებულება ფოლკსრაადია (პარლამენტი), რომელსაც 60 დეპუტატი ჰყავს. რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევენ 5 წლით ყველა ხმის მქონე მოქალაქენი. პრეზიდენტი თავმჯდომარეა აღმასრულებელ კომიტეტისა. 1897 წ. რესპუბლიკას ჰქონდა შემოსავალი 8,044,580 მარკა, გასავალი—

საც და უკანასკნელს პასუხს მაშინ მოგახსენებთ,—მიუგო მოთმინებიდგან გამოსულმა შელბიმ და ხელის გაწოდებით აგრძნობინა, რომ ახლა კი დროა შევწყვიტოთ ბაასიო.

— ოჰ, ღმერთო! ნეტა კი შემეძლოს მაგის ამ კიბიდგან დაგორება და სხვა არა მინდარა,—წამოიძახა მან, როდესაც ვაჭარი გავიდა.—მაგრამ ოჰ, ეს დაწყევლილი ვალები მიჭირვებს საქმეს! ლამის დამარჩონ! ამოოხვრით დააყოლა და ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი.

II

როცა ბავშვით ხელში ოთახიდგან გამოდიოდა, ლიზამ მოჰკრა ყური ბატონისა და ვაჭრის თათბირის დროს ნათქვამს რამდენსამე სიტყვას და მიხვდა, რომ ლაპარაკი მონების გაყიდვას შეეხებოდა. დედის გულმა წასჩურჩულა, ამასთანავე, რომ მისი პირმშო უნდა ყოფილიყო საგანი ამ ლაპარაკისა და ამ ფიქრით შეშინებულმა, მაგრად მიიკრა ბავშვი გულზედ. კიდევ უნდოდა ყური დაეგდო იმათის ლაპარაკისათვის, მაგრამ სწორეთ ამ დროს ქალბატონმა დაუძახა.

— რა დაგმართვია ლიზა? შეეკითხა ქ-ნი შელბი, რაკი აღელვება შეამჩნია. საწყენი ხომ არა გაგიგონია-რა?

— დიახ, წელან ბატონისა და ერთის საზიზღარის ვაჭრის ლაპარაკს მოვკარ ყური... ჩემ გარრის გაყიდვის შესახებ ჰქონდათ თათბირი,—მიუგო ტირილით ლიზამ.

— რას სულელობ!.. მერე მე აქ რაღას ვაკეთებ? წამოიძახა ქ-ნმა შელბიმ: დამშვიდდი გეთაყვა, ნუ ჰღელავ. ის ემჯობინებოდა სრულიად ყური არ დაგეგდო იმათთვის. აბა ერთი მოდი ეს თმა ჩამიწნან, სასეირნოდ მინდა წავიდე.

— ქ-ნი შელბი მეტის მეტად გულკეთილი და ღვთის მოშიში ადამიანი იყო. მუდამ იმის ფიქრში იყო, როგორ უფრო უკეთესად მოეწყო თავის მონების ცხოვრება, და მათი გონებრივი თუ ზნეობრივი მდგომარეობა შეძლების და გვარად გაეუმჯობესებინა. სცდილობდა, ამასთანავე, ნამდვილ ქრისტიანებად გარდაექმნა იგინი. არც ქმარი უშლიდა ამას. ცოლმა არ იცოდა, თუ იმისი ქმარი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და კიდეც ამიტომ ასე გულწრფელად ამშვიდებდა ლიზას.

ლიზა ქ-ნ შელბის ხელში იყო გამოზრდილი და ამ უკანასკნელს ძალიანაც უყვარდა იგი. როცა ლიზა გაიზარდა, გასათხოვარ ქალად იქცა, ქალბატონმა საქმროც უშოვა,—მახლობელ მებაღის მონა გიორგი გარრისი და მალე დააქორწინა კიდეც. გიორგის პატრონმა გიორგი ტომრების სამზადის ქარხანაში მიაბარა. გიორგი გამჭრიახე და მხნე კაცი გამოდგა. გამოიგონა იმისთანა მანქანა, რომელიც ქერელს მტვრისაგან ასუფთავებდა. მალე სხვა უკეთესი ალაგი ჩააბარეს. თავისის კეთილისა და სათნო ხასიათით ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გიორგის ბატონი იმ თავითვე შურიანი და ბოროტი კაცი იყო, თავისის მონის ამაღლება ვერაფრად ეჭაშნიკა და ცოტა ხანსაც არ გაუვლია, რომ გიორგი ქარხნიდგან გამოიყვანა და თავის ბაღში ვირივით ამუშავებდა. პატრონის ამ გვარმა ქცევამ ცეცხლი მოუკიდა გულზედ გიორგის, სიბრაზისაგან აღარ იცოდა რა ექნა, თუმცა სცდილობდა-კი ეს გრძნობა არ გამოეჩინა.

ქალბატონის წასვლის შემდეგ არ გაუვლია ბევრს ხანს, რომ ლიზას სანახავად მოვიდა გიორგი, ლიზამ თავის ოთახში შეიყვანა.

— შენ გენაცვალე, გიორგი, რათა ხარ აგრე დაღვრემილი. აჰა, მიუალერსე ჩვენს შვილს, შეხედე ერთი რა ლამაზია.

გიორგიმ დაისვა მუხლებზედ ბავშვი და მიუალერსა.

— ეჰ, უკეთესი იქმნებოდა არ გავჩენილიყავით და არც ეს ბავშვი გვყოლიოდა!

ლიზას თვალები ცრემლით აევსო და რომ გიორგის არ შეენიშნა ეს, ქმარს მხარზედ მიეყრდო და რაც შეეძლო ანუგეშებდა.

— მე და შენ ვიტანჯებით მაშინ, როდესაც შეგვეძლო ბედნიერები ვყოფილიყავით. სწორედ შესაბრალისია მონა. იქნება ჩემს გადამღრძვალ ბატონზედ ნაკლები ვიყო?! ეგ პირუტყვი ისე მექცევა, როგორც ძაღლს. აი, მაგალითად, გუშინ გამაკრა ბოძზედ და თავის შვილს, იმ ნადირს, უბრძანა შოლტით ვეცემე, მერე ნეტა იცოდე რისთვის? იმისთვის, რომ იმის პატარა წიწილა-თესლს დაუშალე საბრალო პირუტყვის ცხენის ცემა. მაგრამ მოიცადოს, თავისივე სარწყაოთი მიუზღავ მაგ არა-ადამიანს. თვალების ბრიალით დაათავა გიორგიმ.

— რა ვქნათ, ჩემო გიორგი, როცა მონებად დავიბადეთ, კიდეც უნდა ვემორჩილებოდეთ ჩვენს პატრონებს, უსიტყვოდ უნდა გადავიტანოთ ყოველივე ტანჯვა წვალება,—ანუგეშებდა ლიზა.

— რას ამბობ ერთი, ადამიანო, წამოიძახა გიორგიმ, მე რომ შენისთანა გულკეთილი და პატიოსანი ბატონი მყავდეს, რასაკვირველია, რა ხმას ამოვიღებდი, და აბა რა ჯანაბა უნდა უყო, რა უნდა ვქნა იმისთანა ჯოჯოხეთთან და ღვთის ცეცხლთან, როგორიც ჩემი ბატონია. წვალებისა და უპატიურების მეტს მე იმისაგან არასა ვხედავ. არა, აღარ შემიძლიან, მოთმინების ფიალა აღმევსო, აღარ მოვიხრი ქედს ამის შემდეგ სახრის ქვეშ.

— დამშვიდდი გიორგი, გეყოფა, გაფრთხილდი, ბოროტება არ ჩაიდინო!

— არა, არ შემიძლიან. შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა ბოროტება უნდა ჩაიდინოს შენის ბატონის სიძულილით. ის ჰფიქრობს, მე და შენ გაგვაშოროს და ამის შემდეგ მე სხვაზედ დამწეროს ჯვარი; თუ არ დავთანხმდები—გამყიდის... ეჰ!...

— მერე, შენ ხომ ცოლიანი ხარ?

— ჰმ, თითქოს ეგ რამსე ნიშნავდეს, მაგ პირუტყვისათვის! განა გვაგდებენ რადმე, რომ ამ მიზეზმა დააბრკოლოს ისინი?! აი, სწორედ ამისათვის ვსთქვი, რომ უმჯობესი იქმნებოდა ეს ბავშვი არ გაგვჩენოდა მეთქი: ამასაც იგივე განსაცდელი მოელის.

— ჩემი ბატონი გულკეთილია,—გააწყვეტინა ლიზამ.

— ბატონი შეიძლება მოკვდეს და მაშინ ემაგ ბავშვს გაგიყიდიან, ამას რაღა ჩიჩინი უნდა.

ამან გაახსენა ლიზას დილანდელი ბატონებისა და იმ ვაჭრის ლაპარაკი, რომელმაც ისე გაუხეთქა გული, რომ ჯერაც ვერ მოსულიყო გონს. მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს ამის შესახებ ქმართან, უფრო მეტად არ გავამწაროო.

— გადავწყვიტე, კანადაში უნდა გავიპარო. იქ იმედი მაქვს საკმაო ფულს ვიშოვი, რომ თქვენი გამოხსნა შევიძლო, შენი ბატონი გულკეთილია და იმედი მაქვს, ამის უარს არ მეტყვის?

— მერე არ გეშინიან? რომ დაგიჭირონ?

— დარდი ნუ გაქვს, ცოცხალი არავის დავეჭერინები და შენ კი ილოცე, არ დამიჭირონ.

კარგა ხნის ალერსისა და ლაპარაკის შემდეგ გიორგი გამოემშვიდობა ცოლშვილს და სახლში წავიდა.

ა. წინამძღვრიშვილი

(შემდეგი იქნება)

7,631,760 მარკ. კალი სრულებით არა ჰქონია.

1848 წელს ორანჟის რესპუბლიკას ომი მოუხდა გრიკუასებთან, რომელნიც ინგლისის უზენაეს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ინგლისელებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და ორანჟე ინგლისის ახალშენად გამოაცხადეს. მაგრამ ბოერებმა იარაღი აიღეს ხელში და ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს ინგლისს, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა 1854 წ. ორანჟის რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ეცნო.

სასამართლოს მატიანე

70 წლის მოხუცის ასატურ ტერ-ოჰანეზოვის მოკვლის საქმე.

23 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე საპატიო მოქალაქის შვილის კარაპეტ (იგივე კაპლო) ტერ-ოჯანეზოვისა, რომელსაც 70 წლის, მოხუცის მამის მოკვლა ჰბრალდებოდა. დარბაზი სავსე იყო ხალხით. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი. თავისს დროზედ ამ მკვლელობის ამბავი ჩვენს გაზეთში დაწვრილებით იყო დაბეჭდილი, ამიტომ ესლა მკითხველებს მოკლედ მოვაგონებთ.

1897 წელს, 18 სექტემბერს, ღამე, თავისს სადგომში მოკლულ იქმნა მოხუცი ასატურ ტერ-ოჯანეზოვი, რომელსაც მდიდარის კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი და რომელმაც რამდენსამე დღით ადრე მკვლელობამდე საკრედიტო საზოგადოებიდგან მიიღო 2,000 მანეთი. სახლს შესასვლელი მხოლოდ ერთის მხრიდგან ჰქონდა, მაგრამ იქიდგანაც ძნელი იყო შესვლა, რადგან ბალკონთან მეტად ავი ძაღლი ება და არავის უშვებდა. იმ დროს, როდესაც მკვლელობა მოხდა, სახლში მოხუცის გარდა არავინ იყო; ეკატ. აჯიაშვილი, რომელიც იმასთან სცხოვრობდა, რამდენისამე დღის წინად თავისს ქალთან წასულიყო; სხვაგან წასულიყო აგრეთვე მოსამსახურე აჯიაშვილივე. რაც შეეხება შვილს კაპლოს, ის იშვიათად იყო ხოლმე სახლში, უმეტესად ქეიფში ატარებდა დროს. რადგანაც მკვლელობის ღამეს სახლში შესვლა გარეშეს არ შეეძლო, ამიტომ ეჭვი მოხუცის შვილზედ კაპლოზედ მიიტანეს, მით უმეტეს, რომ კაპლო საღამოს მართლაც ყოფილა მამასთან, დარჩენილა იქ 15—20 წუთი და მერე ისევ წასულა ორთაჭალაში საქეიფოდ. ამასთან ყველამ უწყოდა, რომ მამასა და შვილს ხშირად ლაპარაკი მოსდიოდათ იმის გამო, რომ მამა ფულს არ აძლევდა ხოლმე. ამას გარდა ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებით, დანა, რომლითაც მოხუცი მოუკლავთ, კაპლოსი ყოფილა.

ოლქის სასამართლომ, განიხილა რა ეს საქმე, უდანაშაულოდ სცნო კაპლო ოჯანეზოვი და გაამართლა. ამასთან სასამართლომ ადგილობრივ დაათვალიერა სახლი და დარწმუნდა, რომ ბოროტ-გამზრახველს შეეძლო სახლში შესვლა მეზობელ სახლის ჭერიდგანაც.

სამოსამართლო პალატამ კაპლო ოჯანეზოვი უდანაშაულოდ იცნო და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დამაკვორდა

ხელოვნებაში სრულის სიმართლის თქმა არ კარგა, მაგრამ გულ-წრფელად ყოფნა აუცილებლად საჭიროა. ეს-კი ისევე ძნელია, როგორც ცხოვრებაში.

კარმენ სილვა.

* * *

კეკლუცი ქალი ვარდია, რომლისაგანაც ყველა თითო ფურცელს ჰგლეჯს, ასე რომ ქმარს მარტო ეკლები-ღა შერჩება ხოლმე.

პ. მანტეგაცცა

* * *

სახიერს ხუცესს მომღვრად დაისმენ ხოლმე, უსახიეროს-კი მღვდლობასაც განძარცვენ.

ლასურიძე

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, პედაგოგებს დღემდის ვერ გადაუწყვეტიათ, სასწავლებელში ბავშვების აღზრდისა და სწავლების დროს სასჯელი საჭიროა თუ არა. ბევრნი იმას ამტკიცებენ, რომ ძნელია ბავშვის აღზრდა, თუ ზოგჯერ არ დასაჯეო, ზოგნი კიდევ სულ წინააღმდეგს გაიძახიან,—ისე უნდა მოექცე ბავშვს, რომ სასჯელამდე არ მივიდეს საქმეო. საყურადღებო აქ ის არის, რომ არც ერთხელ პედაგოგებს ბავშვებისათვის არ მიუმართავთ და იმათთვის არ გამოუკითხნიათ, რა აზრისანი არიან თვით ბავშვები სასჯელის შესახებ.

ამ შემთხვევაშიო, ამბობს ერთი რუსული ჟურნალი, პედაგოგები ისევე იქცევიან, როგორც კრილოვის ერთს არაკში ლომი მოიქცა. ერთმა მგელმა მიჰმართა თურმე ლომს და სთხოვა, ცხვრის მამასახლისად დამნიშნეო. ლომმა ამ საქმის გადასაწყვეტად ყრილობა მოახდინა და ამ ყრილობაზედ ყველა ნადირნი მიიწვია. ბევრის ლაპარაკისა და თათბირის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მგლის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე. ერთი ვერა ჰქნეს მხოლოდ კარგი, ის, რომ არ მოიწვიეს ყრილობაზედ ცხვრები, ე. ი. ისინი, ვინც უფრო საქიროები იყვნენ. პედაგოგებსაც ასე მოსდით, სჯიან, ლაპარაკობენ ბავშვების შესახებ და თვით ამ ბავშვების აზრის შეტყობა-კი არა ჰსურთო.

ამ ნაკლის შევსებას შესდგომია ლონდონელი პროფესორი ბარნესი. ბარნესს ათის წლის განმავლობაში 3,000 ბავშვისათვის გამოუკითხავს კალიფორნიასა, ჩიკაგოსა და ლონდონში. პროფესორი ბავშვებს ადვილ გასაგებს კითხვებზედ პასუხს აწერინებდა და იმათ აზრს ამნაირად იტყობდა. პირველი ტემა, მაგალითად, ასეთი იყო: „აღწერეთ ის სასჯელი, რომელიც უსამართლოდ გადაგხდათ?“ პასუხებიდგან აღმოჩნდა, რომ ბავშვები უმთავრესად იმ სასჯელს უჩიოდნენ, რომელიც ცელქობისა და სხვა უწესოებისათვის გარდახდათ.

შემდეგ ბარნესი ასეთ ტემაზედ აწერინებდა პასუხს: „ორი ქურდი შეიპარა სახლში, ერთი გაიქცა, ხოლო მეორე დაიჭირეს. კანონით ასეთი დამნაშავე 5 წლით უნდა იქმნას დაპატიმრებული. თქვენ რომ მოსამართლეთ იყოთ, როგორ დასჯიდით ქურდს“? ბავშვების პასუხები მეტად საყურადღებო აღმოჩნდა. 7—9 წლის ბავშვები სულ არ დაეთანხმენ კანონმდებელს. მათ ყოველ გვარი სასჯელი დაასახელეს, მხოლოდ ის-კი არა, რომელიც კანონით იყო აღნიშნული. 10—11 წლის ბავშვებიდგან მხოლოდ 3—4 პროცენტმა გადაუწყვიტა ქურდს ხუთის წლის სასჯელი, 12—13 წლის ბავშვებიდგან—50 პროცენტმა. მხოლოდ 15—16 წლის ბავშვებმა დასწერეს ასეთი პასუხი: „რადგანაც კანონი თხოულობს ასეთი დამნაშავე 5 წლით იქმნას დაპატიმრებული, ამიტომ მოსამართლე რომ ვიყო, სწორედ ამ სასჯელს გადავუწყვეტდიო“.

ასეთსავე პასუხებს იძლეოდნენ ბავშვები სხვა კითხვებზედაც: მცირე წლოვანი ბავშვები დადებულს სასჯელს არ ეთანხმებოდნენ, ხოლო ბოზრდილნი ეთანხმებოდნენ. ამასთან მოზრდილთა შორისაც ვაჟები უფრო მომხრენი იყვნენ კანონისა, ვიდრე ქალები.

ამ რიგად ამ გვარის პასუხებიდგან პროფესორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბავშვები სასჯელის წინააღმდეგნი არ არიან. პრინციპიალურად უარს არ ჰყოფენ სასჯელის საჭიროებას, თუმცა ფორმა სასჯელისა ლაპარაკს იწვევს. რაკი ეს შეიტყო, პროფესორმა შემდეგი კითხვა მისცა ბავშვებს: „ოთხის წლის ქალს დაბადების დღეს დედამ პატარა ყუთი აჩუქა, რომელშიაც საღებავი წამლები ეწყო. როდესაც დედ-მამა სხვაგან წავიდა, ქალმა წამლები ამოიღო და სკამები შეღება, შემდეგ დედას დაუძახა და უთხრა, შეხედე, დედა, როგორ გავალამაზე სკამები? რას უზამდით ამ ქალს დედის ადგილას რომ იყოთ?“ რვა წლის ბავშვებს ერთხმად ასეთი განაჩენი დაუდგენიათ. „ლაზათიანად ვცემდით ქალსაო“, ცხრა წლისას: „ჯერ ვცემდი მერე ვაპატიებდი“; ათის წლისას: „ვცემდი, უსადილოდ დავსტოვებდი, ღამე ადრე დავაწვენდი დასაძინებლად და მეორე დღეს სახლიდგან აღარ გამოვუშვებდი“; თერთმეტის წლისას: „მეორედ აღარ მივცემთ სათამაშოს, ვიდრე არ ისწავლიდა ამ სათამაშოების მოხმარებას“; თორმეტის წლისას: „ჯერ ვცემდი, შემდეგ ყუთს წავართმევდი და მხოლოდ მაშინ დაუბრუნებდი, როდესაც მოხმარებას ისწავლიდა“; ცამეტის წლისას: „სულ არ ვუყიდდი ყუთს. ჩემის აზრით, სკამები რომ კარგად გასწმინდოს კაცმა, წამალი გადაეცლება. რაც შეეხება ქალს, ერთ ორ სილას უთავაზებდი; მაგრა ესეც-კია, რომ ბავშვი პატარა იყო და არც იცოდა, რა ჩაიდინა“. დასასრულ 15 წლისებს უპასუხნიათ: „ბავშვის დასჯა უსამართლობაა. საჭირო იყო ბავშვისთვის აეხსნათ, როგორ უნდა მოჰქცეოდა ნივთსაო“.

ამ პასუხებიდგან პროფესორს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ რაც უფრო პატარაა ბავშვი და, მაშასადამე, განუვითარებელი, მით უფრო საჭიროდა სცნობს იგი სასჯელს. განვითარებასთან შეხედულებაც ეცვლება; 15—16 წლის შესმენილი და გაგებული ბავშვი უკვე სასჯელს საჭიროდ არა სცნობს, თუ ჩამდენმა უწესოება ან დანაშაულობა უმეცრებით და უცოდინარობით ჩაიდინა.

გამოსადეგი ცნობა

თუ ხელები გიოფლიანდებათ, ხშირად უნდა დაიბანოთ ოდნავ ცივს წყალში, რომელსაც ცოტა შაბი, ან ღვინის სიმჟავე ჰქონდეს შერეული.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 სექტემბერი

ნიში. სკუპშჩინა გახსნილ იქმნა დღეს თითონ ალექსანდრე მეფის მიერ. მის მიერ წარმოთქმულ სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ სერბიის დამოკიდებულება სხვა უცხო სახელმწიფოებთან სრულიად ეთანხმება სერბიის მეცადინეობას მშვიდობისა და ცივილიზაციის წარმომადგენელი იყვეს ბალკანეთზე და საუკეთესო დამოკიდებულება იქონიოს მეზობელ სახელმწიფოებთანო.

ლონდონი. როგორც ისმის, სახაზინო კანცლერს გადაუდვია ომისათვის მოსამზადებლად სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი. მთავრობას არ შეუძლიან ამაზედ მეტის დახარჯვა საზოგადოებათა პალატის ნება-დაურთველად. სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინა ნატალში თავ დაცვისა და მისვლა-მოსვლის უზრუნველ-ყოფის შესახებ.

პრეტორია. საეროვნო კრების დღევანდელს სხდომას დაესწრა მხოლოდ 140 წევრი. თავჯდომარემ აუწყა კრებას, რომ ეხლანდელს საქმის გარემოების დროს საეროვნო კრებამ უნდა შესწყვიტოს სხდომები დროებითო. პრეზიდენტმა კრიუგერმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც სთქვა, რომ ღმერთია მოწმე, ყველაფერში თანხმანი ვიყავით უიტლანდიორებისათვის მოქალაქობრივი უფლებანი მიგვენიჭებინაო, მაგრამ მათ არ მოისურვეს ესო. თუ შესამჩნევი შემთხვევები მოხდა, რესპუბლიკა მართალია, და ღმერთი იქმნება მისი მშველელიო.

ფოლკსრუსტიდგან იუწყებიან, რომ ტრანსვაალის მიერ მიცემული ვადა ჯარებს უკან დასახევად, ინგლისს უთავდება დღეს საღამოს ხუთ საათზეო. თუ მანამდის დაკმაყოფილებულ არ იქმნა ტრანსვაალის მოთხოვნილება, იგი შეუდგება საომარს მოქმედებასო.

ლონდონი. „Daily Telegraph“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ღამით ბურებმა დაიპყრეს ლენგონი და კარგა მოზრდილი ჯარით გაჩერდნენ მთაში, სამხრეთ-დასავლეთისაკენ ფოლკსრუსტიდგანო დღეს ბურებმა საზოგადოთ წინ წამოიწიეს არტილერიითო. კორესპონდენტს გაუგონია, რომ ხვალ მახოვა დაჭერილი იქმნებაო, ლედი-სმიდის ქვით ინგლისის ჯარები სრულებით არ ყოფილა. ინგლისელები ემზადებიან დასცალონ ნატალი საზღვრებიდგან ლენკოლამდე. გენერალი სიმონსი ემზადება დასცალოს ნიუკესტლი 24 საათში.

24 სექტემბერი

პეტერბურგი. სამხედრო-იურიდიულ აკადემიის პროფესორი, სამოქალაქო უფლების პროფესორი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გოლმსტენი დანიშნულ იქმნა იმავე უნივერსიტეტის ორდინარ პროფესორის თამდებობის აღმასრულებლად და ოთხის წლის ვადით რექტორად.

კიევი. ნაშუადღევის 1 საათზედ ცარსკოე სელოს ბექობზედ მოკლულ იქმნა დანით, რომელიც გულში აქვს მოხვედრილი, ადგილობრივ ბოლოლოდრი მცხოვრებელი ვასილიევი, 29 წლისა, საეჭვო კაცთაგანი. მკვლელს არავინ იცნობს; იგი გაიქცა და დაიმალა. პოლიცია გულმოდგინედ დაეძებს.

პარიჟი. გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასსემ დღეს საუზმე გაჰმართა რუსეთის მინისტრის გორემიკინისა და ფოსტათა და ტელეგრაფის მთავარ-სამართველოს უფროსის პეტროვის პატივსაცემლად. საუზმეს დაესწრნენ საბჭოს პრეზიდენტი ვალდეკ-რუსსო, რუსეთის რწმუნებული ნარიშკინი, მთავარ-კონსული კარცევი და მრავალნი სხვა წარჩინებულნი.

განცხადებანი

ისყიდება ახალი წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ავტორთან ქ. სიღნაღში.

ОПЫТЪ
ГРУЗИНО-РУССКАГО
СЛОВАРЯ
для начальныхъ училищъ
К. БАГАЕВА
ფასი 50 კ. (15—9)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ТИФЛИСИНЪ

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში— ერევნის მოედ. სააფთიექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიექო მაღაზიაში.

(100—150—8)

როიალები

პიანინო

ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—5.—18)

Дозволено цензурою, Тифлисъ 24 го Сентября 1899 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.